ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 101

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 24 ივნისის N44-4422175270 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

**მუხლი** 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212833790), სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების პირველი და მეორე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212833790), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა №3-ის აღმოსავლეთით (ფართობი: 400.0 კვ.მ.;

საერთო

136

საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.24.281), 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. აღნაგობის უფლების ვადა აითვლება წინამდებარე განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან.“

**„მუხლი** 2. ქონების აღნაგობის უფლების ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1 კვ.მ.-ზე შეადგენს 30 ლარს, სულ ჯამში: 12000 (თორმეტიათასი) ლარს. ყოველი 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ მოხდეს აღნაგობის უფლების ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.“

**მუხლი** 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს აღნაგობის ხელშეკრულების (№16; 26.04.17 წელი) ცვლილების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი** 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი** 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი** 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია